

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო




ეკონომიკური ტენდენციების კვარტალური  
მიმოხილვა

III კვარტალი, 2021



## მოკლე შეჯამება

- წინასწარი მონაცემებით ეკონომიკურმა ზრდამ 2021 წლის მესამე კვარტალში შეადგინა 9 პროცენტი
- ეკონომიკური ზრდის პროგნოზი საქართველოსთვის 2021 წელს: 10 პროცენტი
- მესამე კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 12.3 პროცენტი, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 6.5 პროცენტი
- ექსპორტი გაიზარდა წლიურად 21.9 პროცენტით
- იმპორტი გაიზარდა წლიურად 23.8 პროცენტით
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავლი მნიშვნელოვნად გაიზარდა საბაზო ეფექტის გამო, თუმცა ჯერ კიდევ რჩება 2019 წლის დონეზე დაბლა
- რეფინანსირების განაკვეთი გაიზარდა და შეადგენს 10 პროცენტს





# სარჩევი

<b>რეალური სექტორი</b>	<b>4</b>
ეკონომიკური ზრდა	4
დასაქმება და უმუშევრობა	6
ფასების დონე	7
რეგიონის ეკონომიკური მიმოხილვა	9
<b>საგარეო სექტორი</b>	<b>11</b>
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	11
საგარეო ვალი	12
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	12
საგარეო ვაჭრობა	13
ტურიზმი	14
ფულადი გზავნილები	15
სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება	16
გაცვლითი კურსი	17
<b>ფისკალური სექტორი</b>	<b>18</b>
ნაერთი ბიუჯეტის შესრულება	18
საქართველოს სახელმწიფო ვალი	20
<b>მონეტარული სექტორი</b>	<b>21</b>
კერძო სერტორის ლარიზაცია	21
სესხების მიმოხილვა	22
დეპოზიტების მიმოხილვა	23
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	24
საპროცენტო განაკვეთები	25




# რეალური სექტორი

## ეკონომიკური ზრდა


წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის მესამე კვარტალში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საშუალოდ გაიზარდა 9 პროცენტით. ამავე დროს, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 4.8 პროცენტი. აღნიშნული ზრდა მნიშვნელოვნად გამოწვეულია საბაზო ეფექტით და პანდემიის წინა ეტაპებზე გადავადებული მოთხოვნის მიმდინარე პერიოდებში რეალიზაციით და რეგიონში ეკონომიკური მდგომარეობის გააქტიურებით. კერძოდ, მესამე კვარტალში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 21.9 პროცენტით, ხოლო იმპორტი წლიურად გაიზარდა 23.8 პროცენტით. ამავე დროს, 2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 15.8 პროცენტით, ხოლო იმპორტი გაიზარდა 9.9 პროცენტით. ვაჭინაციის პროცესის ნელი ტემპი ანელებს ტურიზმის სექტორის აღდგენის პროცესს. საგარეო მოთხოვნა ზრდას განაგრძობს, თუმცა, ტურიზმის გათვალისწინებით, პანდემიამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, შემცირებული რჩება. საერთაშორისო მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი მესამე კვარტალში წლიურად გაიზარდა 13-ჯერ, თუმცა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ადგილი აქვს 49.8 პროცენტთან შემცირებას.

2021 წლის დასაწყისში გაუარესებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, ადგილი ჰქონდა რიგ შეზღუდვებს, რაც ხელს უშლიდა ეკონომიკური აღდგენის პროცესს. შესაბამისად, პირველ კვარტალში რეალური მშპ წლიურად შემცირდა 4.5 პროცენტით. მოსალოდნელზე უფრო სწრაფი აღდგენა მხოდა 2021 წლის მეორე კვარტალში. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 29.9 პროცენტით, ხოლო 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, 12.7 პროცენტით. მნიშვნელოვანი წილი მშპ-ს ზრდაში შეიტანა მოხმარების კომპონენტმა, რომელიც რეალურ გამოსახულებაში წლიურად გაიზარდა 34.6 პროცენტით და შეიტანა 18.2 პ.პ. კონტრიბუცია. ამავე დროს, რეალურ გამოსახულებაში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 53.3 პროცენტით და შეიტანა 18.2 პ.პ. წვლილი, რასაც ტურიზმის სექტორის ნაწილობრივი აღდგენაც უწყობდა ხელს. აღნიშნული მკვეთრი ზრდა აიხსნება მაღალი


დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა



დიაგრამა 2: სექტორების რეალური ზრდა, 2020 II კვარტალი




დიაგრამა 3: ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია






დიაგრამა 4: ეკონომიკური ზრდის პროგნოზი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 5: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, ათასი აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საბაზო ეფექტითა და პანდემიის წინა ეტაპებზე გადავადებული მოთხოვნის მიმდინარე პერიოდებში რეალიზაციით. შესაბამისად, ზრდა აღინიშნა მრავალ სექტორში. კერძოდ, მნიშვნელოვანი წვილილი ზრდაში შეიტანა შემდეგმა საქმიანობებმა: განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (75.5% წ/წ, 2.5 პ.პ. წვილილი ზრდაში), ინფორმაცია და კომუნიკაცია (56.2% წ/წ, 1.8 პ.პ.), საბითუმო და საცალო ვაჭრობა (53.9% წ/წ, 6.5 პ.პ.), წყალმომარაგება (49.8% წ/წ, 0.4 პ.პ.), ტრანსპორტი და დასაწყობება (47% წ/წ, 2.5 პ.პ.), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (45.5% წ/წ, 2.8 პ.პ.), დამამუშავებელი მრეწველობა (42.3% წ/წ, 4.2 პ.პ.). ხოლო კლებაში მნიშვნელოვანი წვილილი შეიტანა შემდეგმა სექტორებმა: სოფლის მეურნეობა (-2.3% წ/წ, -2.2 პ.პ.), ხელოვნება, გათობა და დასვენება (-25.4% წ/წ, -0.2 პ.პ.), განათლება (-1.4% წ/წ, -0.1 პ.პ.).

2021 წლის განმავლობაში ზრდა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული სოციალური დისტანცირების შეზღუდვების შერბილებაზე და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობაზე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვაქცინაციის პროცესზე, რომელიც დაიწყო მარტში, თუმცა მიმდინარეობს ნელი ტემპებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროგნოზის მიხედვით, 2021 წელს მოსალოდნელია 10 პროცენტთან ეკონომიკური ზრდა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შიდა მოთხოვნის ზრდით და ბიუჯეტში გათვალისწინებული ფისკალური სტიმულების ღონისძიებებით. 2022 წლიდან ეკონომიკა გააგძელებს საშუალოდ 5.5 პროცენტთან ზრდას, 2022-2025 წლებში.




## დასაქმება და უმუშევრობა

2021 წლის მეორე კვარტალში უმუშევრობის დონემ 22.1 პროცენტი შეადგინა, რაც 0.2 პპ-ით მეტია წინა კვარტლის მნიშვნელობაზე და 3.8 პპ-ით წინა წლის შესაბამის პერიოდათან შედარებით. მათ შორის, უმუშევრობა ქალაქად შეადგენდა 24.1 პროცენტს (+2.3 პპ წ/წ), ხოლო სოფლად - 19 პროცენტს (+6.2 პპ წ/წ). უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონით 15-24 და 25-34 ასაკობრივი ჯგუფები გამოირჩევა. 2021 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 51.4 პროცენტი შეადგინა. 2021 წლის მეორე კვარტალში, ქალების ჯგუფში უმუშევრობის დონემ შეადგინა 18.9 პროცენტი, ხოლო მამაკაცების ჯგუფში, აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 24.5 პროცენტი.


2021 წლის მეორე კვარტალში მოსალოდნელზე უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად (29.9 პროცენტით წლიური ზრდა და 12.7 პროცენტით ზრდა 2019 წელთან შედარებით) დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 1.9 პროცენტით წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ხოლო 1 პროცენტული პუნქტით შემცირებულია დასაქმების დონე. უმუშევართა რაოდენობა წლიურად გაიზარდა 24.2 პროცენტით. ამავე დროს, პროდუქტიულობა (რეალური გამოშვების შეფარდება დასაქმებულთა რაოდენობაზე) წლიურად გაიზარდა 32.3 პროცენტით. ამავე დროს, 15.5 პროცენტით გაიზარდა დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი, რომელიც 2021 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით შეადგენს 1328 ლარს.

დიაგრამა 6: შრომის ბაზრის ინდიკატორები



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 7: პროდუქტიულობა და დასაქმებულთა საშუალო ხელფასი (წლიური ცვლილება, %)



წყარო: საქსტატი




## ფასების დონე


2021 წლის დასაწყისიდან შეინიშნება წლიური ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან მნიშვნელოვანი გადაჭარბება. აღნიშნულის მიზეზს ძირითადად წარმოადგენს მიწოდების მხარეს არსებული ფაქტორები, როგორც არის საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე მნიშვნელოვნად გაძვირებული პროდუქცია და გლობალურად სატვირთო ტრანსპორტირების ხარჯების მკვეთრი ზრდა. ამავე დროს, წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე ასევე გავლენა იქონია კომუნალური გადასახადების ცვლილებამ, რადგან სუბსიდირების პროგრამის დასრულებამ აღნიშნული საქონლის ინფლაციის მაჩვენებელი იმაზე მეტად გაიზარდა, ვიდრე თავდაპირველი შემცირება იყო და მთლიანი ინფლაციის მაჩვენებლის მატება გამოიწვია. ასევე ინფლაციაზე გავლენას ახდენს მნიშვნელოვნად გააქტიურებული შიდა მოთხოვნა, რომელიც აღარ არის ინფლაციის შემამცირებელი ფაქტორი როგორც ეს იყო წინა პერიოდებში, ეკონომიკური ვარდნის დროს. გლობალური ინფლაცია წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების განხილვის საკითხს. საერთაშორისო ბაზაზრე ნედლეულის, ნავთობის, გაზის ფასების ზრდამ და მნიშვნელოვანმა ფისკალურმა სტიმულებმა გამოიწვია ინფლაციური წნეხის ზრდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის განახლებული პროგნოზის მიხედვით (ოქტომბერი, 2021), მსოფლიო ინფლაცია გაიზრდება 2020 წლის 3.2 პროცენტიდან 4.3 პროცენტამდე 2021 წელს. 2021 წლის მესამე კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 12.3 პროცენტი. აღნიშნული ზრდა მნიშვნელოვნად არის გამოწვეული საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და სასურსათო პროდუქტების მზარდი ფასებით, რაც აისახება ადგილობრივ ფასებში და კომუნალური გადასახადების სუბსიდირების პროგრამის გაუქმებით. ამავე დროს, წინა პერიოდებში გაუფასურებული ლარის გაცვლითი კურსის ზეგავლენით, მაღალ დონეზე რჩება იმპორტირებული ინფლაცია. საბაზო ინფლაცია (თამბაქოს გარეშე) მესამე კვარტალში გაუტოლდა 6.5 პროცენტს.

4 აგვისტოს ეროვნული ბანკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 0.5 პპ-ით გაზრდის თაობაზე, ფასების შემდგომი მომატების თაობაზე მოლოდინების ზეწოლის შესამსუბუქებლად. ეროვნული ბანკის მიხედვით, 2021 წელს ინფლაცია საშუალოდ 9.7 პროცენტის

დიაგრამა 9: წლიური ინფლაცია



დიაგრამა 10: ინფლაციის დეკომპოზიცია




ფარგლებში იქნება და მიზნობრივ მაჩვენებელთან დაახლოებას 2022 წლის მეორე კვარტალიდან დაიწყებს.

2021 წლის მესამე კვარტლის ჭრილში, ადგილობრივი ინფლაციის წვლილი გაუტოლდა 5.8 პროცენტს, ხოლო იმპორტირებული ინფლაციის წვლილმა შეადგინა 3.3 პროცენტი. აღნიშნული დინამიკა გამოწვეულია სურსათზე ფასის მომატებით და სამომხმარებლო კალათაში სასურსათო საქონლის ჯგუფის მიერ შეფარდებით მაღალი წონის დაკავებით.



დიაგრამა 11: ინფლაციის დეკომპოზიცია, III კვარტალი, 2021








### რეგიონის ეკონომიკის მიმოხილვა

2020 წელს COVID-19 პანდემიით გამოწვეული რეცესიის შემდგომ, 2021 წელს შეიმჩნევა V ფორმის გლობალური ეკონომიკური აქტივობის გაჯანსაღება. თუმცა ეპიდემიოლოგიური ვითარება რიგ ქვეყანაში ჯერ კიდევ აფერხებს ეკონომიკურ საქმიანობას, რადგან ახალი შტამების გარვცელების ფონზე დაწესებულია შეზღუდვები და გაურკვეველია რა რეაგირება ექნება ქვეყნის მთავრობებს ახალი შტამების გამოჩენისადმი. განვითარებულ ქვეყნებში მზარდი ვაჭინაციის პროცესი ხელს უწყობს ეკონომიკური საქმიანობის გაჯანსაღებას, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ვაჭინაცია მიმდინარეობს შედარებით ნელი ტემპებით, რის გამოც ეკონომიკური აქტივობის აღდგენის ტემპი შედარებით სუსტია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2021 წლის ოქტომბერში განახლებული პროგნოზის თანახმად, გლობალური ეკონომიკური ზრდა 2021 წელს იქნება 5.9 პროცენტი გაზრდილი ფისკალური და მონეტარული სტიმულების ხარჯზე, ხოლო 2022 წელს გლობალური ზრდა მიაღწევს 4.9 პროცენტს. განახლებული პროგნოზის მიხედვით, განვითარებული ქვეყნებისათვის მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა 2021 წელს 5.2, ხოლო 2022 წელს 4.5 პროცენტს შეადგენს. ამავე დროს, მზარდი და განვითარებადი ქვეყნებისათვის მოსალოდნელია 2021 წელს 6.4 პროცენტიანი, ხოლო 2022 წელს 5.1 პროცენტიანი ზრდა. სსფ-ის ივლისის პროგნოზის მიხედვით, ევროზონის ეკონომიკური ზრდა 2021 წელს 5 პროცენტს, ხოლო 2022-ში კი 4.3 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული ზრდა განპირობებულია ვაჭინაციის პროცესის გამო შეზღუდვების შემსუბუქებით, საწარმოო და სამრეწველო სექტორების გაჯანსაღებით და ეკონომიკური აგენტების დადებითი მოლოდინებით, როგორც ინვესტიციების, ასევე - ტურიზმის მხრივ. ოქტომბრის პროგნოზის მიხედვით, ინფლაციის დონე 2021 წელს 2.2, ხოლო 2022 წელს 1.7 პროცენტს შეადგენს.


ეკონომიკური აღდგენის პროცესი შეინიშნება ასევე თურქეთში, სადაც ბოლო პერიოდში გაუმჯობესებულია ინვესტიციებთან და ტურიზმთან დაკავშირებული მოლოდინები და ასევე გაიზარდა ექსპორტის მოცულობა და საწარმოო სექტორის აქტივობა. თუმცა, მთავარ გამოწვევად რჩება ლირის გაცვლითი კურსის მერყეობა და მის ფონზე არსებული ინფლაციური წნეხი. განახლებული პროგნოზის მიხედვით, 2021 წელს

დიაგრამა 12: ეკონომიკური ზრდა რეგიონში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 13: ინფლაცია რეგიონში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

წყარო: International Monetary Fund. World Economic Outlook: Recovery During a Pandemic; Health Concerns, Supply Disruptions and Price Pressures. Washington, DC, October 2021  
International Monetary Fund. World Economic Outlook Update: Fault Lines Widen in the Global Recovery. Washington, DC, July 2021




დიაგრამა 14: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 15: ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან, %



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

წყარო: International Monetary Fund. World Economic Outlook: Recovery During a Pandemic; Health Concerns, Supply Disruptions and Price Pressures. Washington, DC, October 2021  
International Monetary Fund. World Economic Outlook Update: Fault Lines Widen in the Global Recovery. Washington, DC, July 2021

თურქეთის რეალური ეკონომიკური ზრდა 9 პროცენტს, ხოლო 2022-ში კი - 3.3 პროცენტი შეადგენს. რაც შეეხება ინფლაციას, მისი მიმდინარე პროგნოზი 2021 წლისთვის 17 პროცენტია, ხოლო 2022 წლისთვის კი 15.4 პროცენტი. მსოფლიოში და ქვეყნის შიგნით ვაქცინაციის პროცესმა და შეზღუდვების შემსუბუქებამ ასევე დადებითად იმოქმედა რუსეთის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. გაზრდილია სამომხმარებლო ხარჯები და ეკონომიკური აგენტების დადებითი მოლოდინები. გარდა ამისა, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის საერთაშორისო ფასის ზრდამ ასევე გააუმჯობესა რუსეთის საგარეო სექტორი. სსფ-ის შეფასებით, 2021 წლის ეკონომიკური ზრდა რუსეთში 4.7 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო 2022-ში კი მოსალოდნელია 2.9 პროცენტის ზრდა. აღნიშნულმა აღდგენამ შექმნა დამატებითი წინეი ინფლაციაზე და სსფ-ს შეფასებით ის საშუალოდ გაუტოლდება 5.9 პროცენტს და 4.8 პროცენტს 2021-2022 წლებში.

ნავთობის ფასის ზრდა და შეზღუდვების შემსუბუქება ასევე აისახება აზერბაიჯანის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. სსფ-ის შეფასებით, 2021 წელს აზერბაიჯანში ეკონომიკური ზრდა 3 პროცენტი იქნება, ხოლო 2022 წელს კი 2.3 პროცენტი. ეკონომიკის გაჯანსაღება ასევე აისახება ინფლაციაზე. პროგნოზის მიხედვით, 2021 წელს ინფლაცია გაუტოლდება 4.4 პროცენტს, ხოლო 2022 წელს - 3.2 პროცენტს. შეზღუდვების შერბილებამ ასევე დადებითად იმოქმედა სომხეთის ეკონომიკურ აქტივობაზე. გაზრდილია სამომხმარებლო ხარჯები და წარმოების სექტორი. თუმცა საგარეო სექტორი ჯერ კიდევ რჩება გაუარესებულ მდგომარეობაში. გარდა ამისა, აზერბაიჯანთან ომის შემდგომ და არსებული პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, მომატებულია რისკები, რაც აუარესებს ბიზნეს განწყობას. შესაბამისად, სსფ-ის ოქტომბრის პროგნოზის თანახმად, 2021 წელს ეკონომიკური ზრდა განისაზღვრა 6.5 პროცენტის დონეზე, ხოლო 2022 წელს მოსალოდნელია 4.5 პროცენტის ზრდა. რაც შეეხება ინფლაციას, 2021 წელს ის 6.9 პროცენტი იქნება, ხოლო 2022 წელს კი საშუალოდ 5.8 პროცენტია მოსალოდნელი.

აღსანიშნავია, რომ გლობალური ინფლაციური წნეხის და მოლოდინების გამო, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ცენტრალური ბანკების ნაწილმა 2021 წლის მესამე კვარტალში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთები კიდევ უფრო გაამკაცრა.



# საგარეო სექტორი


## მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2020 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 12.5 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვანი გაუარესებაა 2019 წლის 5.5 პროცენტიანი დეფიციტის შემდეგ. 2021 წლის პირველი კვარტალიდან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა გაუმჯობესება დაიწყო. 2021 წლის პირველ კვარტალში ის შემცირდა 10.8 პროცენტამდე, ხოლო მე-2 კვარტალში მან 8 პროცენტს მიაღწია, რაც თითქმის 6%-იანი გაუმჯობესებაა 2020 წლის მე-4 კვარტალთან შედარებით, როდესაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 13.3 პროცენტს მიაღწია. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესება გამოწვეულია მომსახურების ექსპორტის მატებით, რაც განპირობებულია ტურიზმის ეტაპობრივი აღდგენით. ასევე საგრძნობი ზრდაა მიმდინარე ტრანსპორტებში.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება ხდება ვალით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. დეფიციტის ვალით დაფინანსება გულისხმობს ახალი ვალის აღებას და შესაბამისად, უფრო მეტი ხარჯის გაწევას ვალის მომსახურებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ხარჯზე განხორციელდეს. საქართველოში ბოლო პერიოდში უმჯობესდებოდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების სტრუქტურა და 2017 წელს დეფიციტი მთლიანად იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული. 2019 წლის მესამე კვარტალში, ადგილი ჰქონდა მიმდინარე ანგარიშის პროფიციტს 0.4 პროცენტის დონეზე. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, დეფიციტის დაფინანსებაში საგარეო ვალი საკმაოდ დიდი წვლილით მონაწილეობს. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია 2020 წელი, როცა ვალით დაფინანსებამ საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა დეფიციტის დაფინანსებაში.


2021 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით, უკეთესობისკენაა შეცვლილი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება. კერძოდ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის კლების ფონზე გაიზარდა FDI-ის წილი მის დაფინანსებაში 1.4 პპ-იდან 3.1 პპ-ამდე, ხოლო ვალის წვლილი შემცირდა 9.3 პპ-დან 4.8 პპ-ამდე.

დიაგრამა 16: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 17: ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი


დიაგრამა 18: მიმდინარე ანგარიშის დაფინანსება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი



დიაგრამა 19: საგარეო ვალი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

საბარემო ვალი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის დამატებით სისუსტედ საგარეო ვალი მიიჩნევა, რაც კვლავ რჩება მოწყვლადობის ძირითად წყაროდ. საგარეო ვალი შედგება როგორც სამთავრობო სექტორის ვალისგან, ასევე - კომერციული და ეროვნული ბანკის საგარეო ვალისგან და კომპანიათაშორისი სესხებისგან.

მიმდინარე პანდემიის პირობებში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2020 წელს და მთლიანი შიდა პროდუქტის 129.5 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ვალი 21 პ.პ-ით არის გაზრდილი. საგარეო ვალის ზრდა მნიშვნელოვნად არის გამოწვეულია სამთავრობო სექტორის ვალის ზრდით, მიმდინარე პანდემიისას განხორციელებული ღონისძიებებისა და მოხიდული დაფინანსების გამო. 2021 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით კი საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 123.3 პროცენტია, რაც 9.8 პ.პ-ით ნაკლებია წინა კვარტლის მონაცემთან შედარებით. კლების იზეუხს წარმოადგენს მეორე კვარტლის ეკონომიკური აქტივობის დაცქარება და შესაბამისად ნომინალური მშპ-ს მოსალოდნელზე მეტად ზრდა.


დიაგრამა 20: ვალის მშპ-თან თანაფარდობის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი.

საგარეო ვალის ცვლილების დეკომპოზიცია წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ანუ ვალის აღებით, ასევე - საფასო ეფექტით, გაცვლითი კურსის ცვლილებითა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილებით. აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში საგარეო ვალის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი გაცვლითი კურსის გაუფასურებამ შეიტანა, ხოლო მშპ ძირითადად ხელს უწყობდა საგარეო ვალის შემცირებას. რაც შეეხება 2021 წლის მეორე კვარტალს, ვალი 8.5 პ.პ-ით არის შემცირებული, რომელშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნომინალური მშპ-ს ზრდამ მეორე კვარტალში, -9.9 პპ კონტრიბუცია მთლიან ზრდაში. გაცვლით კურსი ჯერ კიდევ წარმოადგენს ვალის ზრდის ერთ-ერთ წყაროს (+1.7 პპ კონტრიბუცია მთლიან ზრდაში), რაც დამოკიდებულია საგარეო ვალის მაღალი წილით მთლიან ვალში.

დიაგრამა 21: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქსტატი



### პირდაპირი უცხოური ინვესტიციები


2020 წელს საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 617 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 52.9 პროცენტით ნაკლებია. ამასთან, 2021 წლის პირველ კვარტალში ინვესტიციების მოცულობამ 125 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28.3 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. აღნიშნული კლების გამომწვევი ძირითადი მიზეზია რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში (340.5 მლნ აშშ დოლარით შემცირება).

2021 წლის მეორე კვარტალის მიხედვით კვლავ ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო ლიდერობს 32.9 პროცენტით, ხოლო მეორე მესამე ადგილს ინაწილებენ ნიდერლანდები და ჩეხეთი, შესაბამისი 13.5 პროცენტი და 13 პროცენტი წილებით მთლიან FDI-ში.


ინვესტიციები ძირითადად განხორციელდა საფინანსო სექტორში და 82 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი ინვესტიციების 35 პროცენტი), ასევე მაღალი წილი მთლიან ინვესტიციებში უკავია ენერჯეტიკის სექტორს 65 მილიონი აშშ დოლარით (27.8 პროცენტი) და დამამუშავებელ მრეწველობას 46.5 მილიონი აშშ დოლარით (19.9 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ სასტურუმრო, სამშენებლო და სამთომომპოვებით სექტორებში FDI კვლავ შემცირდა, შემცირებამ მთლიანი FDI-ს 4.3 პროცენტი შეადგინა.

FDI-ს სტრუქტურა კვლავ ინარჩუნებს ბოლოდროინდელ ტენდენციას. კერძოდ კვლავ მაღალია რეინვესტირების წილი მთლიან ინვესტიციებში. 2021 წლის მეორე კვარტალში რეინვესტირების წილი გაიზარდა 1.9 პპ-ით და მშპ-ს 4 პროცენტს მიაღწია, რაც მთლიანი FDI-ს 81 პროცენტს შეადგენს.


დიაგრამა 22: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



დიაგრამა 23: FDI-ის განაწილება, 2021 II კვარტალი




დიაგრამა 24: საგარეო ვაჭრობა, იანვარი-ივნისი






დიაგრამა 25: ადგილობრივი ექსპორტის წლიური ცვლილება




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 26: იმპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 27: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი; ავტორის გაანგარიშება

საბარემო ვაჭრობა

2020 წელს COVID 19-ის პანდემიის ფონზე, მსოფლიოში საგარეო ვაჭრობამ იკლო. რაც საქართველოს ეკონომიკაზეც აისახა. შემცირებული საწარმოო და სამომხმარებლო აქტივობების ფონზე იმპორტმა კლება განიცადა, ხოლო 2020 წლის პირველ ნახევარში შემცირდა ექსპორტიც.

2021 წელს, მას შემდეგ რაც მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც დაიწყო შეზღუდვების მოხსნა, საგარეო ვაჭრობამ სწრაფი ტემპებით დაიწყო აღდგენა. გაზრდილ ექსპორტთან ერთად, სწრაფი ტემპებით აღდგა იმპორტიც. 2021 წლის მესამე კვარტალში ადგილობრივი ექსპორტის ნომინალურმა ზრდამ წლიურ 22.8 პროცენტთან ზრდას მიაღწია, რისი უმეტესი ნაწილი (13 პროცენტი) ფასისმიერი ზრდა იყო. ამავე პერიოდში იმპორტი 23.8 პროცენტით გაიზარდა, სადაც ზრდის 20.8 პროცენტი იმპორტის ფასების ცვლილებაზე მოდის.

2021 წლის მესამე კვარტალში, სამომხმარებლო პროდუქტის იმპორტი გაიზარდა 23.4 პროცენტით (7.4 პპ წილი მთლიან იმპორტში). მალალი ზრდა დაფიქსირდა შუალედური პროდუქტის იმპორტშიც და 30.6 პროცენტს გაუტოლდა (11.6 პპ მთლიან იმპორტში). შედარებით დაბალი ზრდის ტემპი ქონდა საინვესტიციო პროდუქტს, რომლის ზრდამაც 15.9 პროცენტი შეადგინა (4.8 პპ მთლიან იმპორტში). 2021 წლის მესამე კვარტალში საქონლის ექსპორტი გაიზარდა 22 პროცენტით. ექსპორტის მთავარი შემადგენელი ნაწილი კვლავ, სპილენძის მადნებისა და კონცენტრანტებს (მთლიანი ექსპორტის 16.5 პროცენტი), მსუბუქი ავტომობილებისა (მთლიანი ექსპორტის 12.1 პროცენტი) და ფეროშენადნობების (მთლიანი ექსპორტს 11.9 პროცენტი) ექსპორტს უკავიათ. უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი კვლავ სპილენძის მადნებმა და კონცენტრანტებმა, მსუბუქმა ავტომობილებმა და ნავთობპროდუქტებმა შეადგინა.




ტურიზმი

პანდემიურ 2020 წელს, როდესაც ეკონომიკა მკაცრი შეზღუდვების პირობებში ფუნქციონირებდა, განსაკუთრებით დიდი დარტყმა ტურიზმის სექტორმა მიიღო. საზღვრების ჩაკეტვამ და საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტამ 2020 წელს ტურისტების რაოდენობა თითქმის განულდა. 2021 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო ტურიზმის სექტორის გაჯანსაღება. 2021 წლის მეორე კვარტალიდან ტურიზმიდან შემოსავლები წლიურად გაიზარდა. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდა მესამე კვარტალშიც. აღნიშნულ პერიოდში ტურიზმიდან შემოსავალმა 565.98 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს 1230.6 პროცენტით აღემატება, ხოლო 2019 წლის მაჩვენებლის 50 პროცენტს შეადგენს.

ფულადი გზავნილები


2020 წელს წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობამ 1,639 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 9.6 პროცენტით მეტია წინა წელთან შედარებით. აღნიშნულ ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა იტალიამ და უკრაინამ (ჯამურად 7 პროცენტის წვლილი), ხოლო რუსეთის წვლილი უარყოფითია, -4.4 პროცენტით. რაც შეეხება 2021 წელს, მეორე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდამ 52 პროცენტი შეადგინა, რაც წინა კვარტალთან შედარებით 16.6 პროცენტის ზრდას გულისხმობს. 2021 წლის მესამე კვარტალში ზრდა დასტაბილურდა და 9 პროცენტი შეადგინა. ზრდაში ძირითადი წვლილი შეიტანა იტალიამ 3.1 კპ-ით. ასევე დადებითი წვლილი შეიტანეს აშშ-მ (1.5 კპ), გერმანიამ (1.9 კპ) და ისრაელმა (1.1 კპ). კლება დაფიქსირდა უკრაინიდან გადმორიცხვებში -45.1 პროცენტი, რამაც უარყოფითი წვლილი შეიტანა მთლიან ზრდაში 2.5 კპ-ით. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში რუსეთიდან ფულადი გზავნილები შემცირებული იყო და უარყოფითი წვლილი ჰქონდა გზავნილების ზრდაში. აღნიშნული დინამიკა შეიცვალა ბოლო ორი კვარტლის განმავლობაში, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ნავთობის ფასის ზრდასა და ეკონომიკური აღდგენის პროცესთან დაკავშირებით.

დიაგრამა 28: ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, 2019 = 100




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 29: ტურიზმის აღდგენა ქვეყნების მიხედვით, 2019 წლის შესაბამისი თვე = 100, %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 30: წმინდა ფულადი გზავნილები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



### სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება

საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების მიხედვით. მიმდინარე ანგარიშის შემოსულობებში ექსპორტის, ტურიზმისა და ტრანსფერების წილების მიხედვით, საქართველო დამოკიდებულია რუსეთზე, თურქეთზე, უკრაინასა და ევროკავშირის ქვეყნებზე. 2021 წლის მეორე კვარტლის მიხედვით 2018 წლის შემდგომ პირველად რუსეთზე დამოკიდებულება მცირედით გაიზარდა, რაც განპირობებული იყო რუსეთიდან ფულადი გზავნილების ზრდით. თურქეთზე დამოკიდებულება კვლავ სტაბილურია და 5 პროცენტიან ნიშნულს ინარჩუნებს. მცირედით გაიზარდა დამოკიდებულება უკრაინაზე, რაც გამოწვეული იყო უკრაინიდან ტურიზმის შემოსავლების ზრდით. მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს ევროკავშირზე დამოკიდებულება, მაგრამ 2021 წლის მეორე კვარტლის მიხედვით შეინიშნება მცირედი კლება, რაც უკავშირდება ფულად გზავნილებსა და ექსპორტს, რომელთა წილიც მთლიან შემოსავლებში მცირედით შემცირდა.

დიაგრამა 31: დამოკიდებულება სავაჭრო პარტნიორებზე




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი






გაცვლითი კურსი

დიაგრამა 32: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 33: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 34: გაცვლითი კურსი მერყეობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსების ცვლილება

	30 სექტემბერი, 2021	30 სექ 2021 - 1 იან 2021	30 სექ 2021 - 1 იან 2020
ევრო	3.6409	-11.7%	-16.0%
აშშ დოლარი	3.1228	-8.2%	-14.4%
თურქული ლირა	0.3525	36.7%	43.4%
რუსული რუბლი	0.0429	7.4%	-10.6%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	119.47	-0.7%	-7.9%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (სექტემბერი, 2020)	118.28	12.7%	4.4%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

COVID-19 პანდემიის საწყის ეტაპზე, მაღალი გაურკვევლობის პირობებში, მთელს მსოფლიოში აღინიშნებოდა დოლარის გამყარება. 2021 წლიდან კი დოლარმა შესუსტება დაიწყო, როგორც განვითარებად, ისე განვითარებული ქვეყნების ვალუტებთან. მსგავს ტრექტორიას გაყვამ ლარიც. 2021 წლის აპრილიდან, ლარმა სწრაფი გამყარება დაიწყო, რასაც ხელს უწყობდა, როგორც დოლარის დაღმავალი ტენდენცია, ასევე სწრაფად მზარდი ექსპორტი და გაუმჯობესებული მოლოდინები. მესამე კვარტლის მიწურულს ლარმა შეწყვიტა მკვეთრი გამყარება და დასტაბილურდა, რაც ასევე იმეორებს დოლართან საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების ქცევას. სამომავლოდ ფედ-ის მიერ განცხადებულ პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს შერბილებული მონეტარული პოლიტიკიდან გამოსვლას, აშშ დოლარს კვლავ გამყარების ბიძგს მისცემს.

მე-3 კვარტალში ლარი დოლართან მიმართებაში გაუფასურდა 0.6 პროცენტით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ევროსთან კი 1.5 პროცენტით. რაც შეეხება ლირას, ლარი 15.1 პროცენტით გამყარდა, ხოლო რუბლთან 0.9 პროცენტით გაუფასურდა. გარკვეულწილად აღნიშნული გაუფასურებები დოლართან, ევროსთან და რუბლთან განპირობებულია მაღალი საბაზო ეფექტით. 2021 წლის მესამე კვარტალში ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუტოლდა მის საშუალოვადიან ტრენდს. რაც იმას მიანიშნებს, რომ ლარი სავაჭრო პარტნიორ ქვეყნების ვალუტებთან ადგილი არ აქვს ზედმეტად გაუფასურება/გამყარებას. რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი განაგრძობს გამყარებას, და მის საშუალოვადიან ტრენდს 5.1 პროცენტით აღემატება.



## ფისკალური საქტორი

### ნაერთი ბიუჯეტის შესრულება

2021 წლის პირველ 9 თვეში ნაერთი ბიუჯეტის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9,406 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 9,504.7 მლნ ლარი, რაც შეადგენს საპროგნოზო მაჩვენებლის 101 პროცენტს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 2,717.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2,664.8 მლნ ლარი) 102 პროცენტია.

- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 790.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (764.7 მლნ ლარი) 103.4 პროცენტია.

- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 4,337.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4,236.4 მლნ ლარი) 102.4 პროცენტია.

- აქციზის სახით მობილიზებულია 1,277.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,235.3 მლნ ლარი) 103.4 პროცენტია.


- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 60.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (59.2 მლნ ლარი) 102.8 პროცენტია.

- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 394.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (387 მლნ ლარი) 101.9 პროცენტია.

2021 წლის მესამე კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 33.9 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 6.9 პროცენტით. ამავე დროს, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 152.9 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა -745.6 მლნ ლარით.


საბიუჯეტო შემოსავლებში მნიშვნელოვან წილს იკავებს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, რაც 2021 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით შეადგენს 90.4 პროცენტს. ნაერთმა ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 3,496.2 მლნ ლარი, რაც 32.4 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი წლიურად გაიზარდა 64.2 პროცენტით და გაუტოლდა 1,039.5 მლნ ლარს. მაღალი ზრდა შეინიშნება დამატებითი ღირებულების გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის სახით,

დიაგრამა 35: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


დიაგრამა 36: ნაერთი ბიუჯეტის სალდო



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო




დიაგრამა 37: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 38: ნაერთი ბუჯეტის ხარჯები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

რომელიც წლიურად გაიზარდა 22.7 პროცენტით წინა წელთან შედარებით და გაუტოლდა 1,651.5 მლნ ლარს, რაც შეადგენს საგადასახადო შემოსავლების 47.2 პროცენტს. ამავე დროს, გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება მოგების და იმპორტის გადასახადებიდან. კერძოდ, მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 30.3 პროცენტით, ხოლო იმპორტის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 18 პროცენტით. შედარებით მცირედით გაიზარდა აქციზის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, რომლის წილი შეადგენს 15 პროცენტს, ხოლო ზრდის ტემპი გაუტოლდა 5 პროცენტს.

2021 წლის მესამე კვარტალში ხარჯები წლიურად გაიზარდა 6.9 პროცენტით და შეადგინა 3,713.5 მლნ ლარი. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ყველაზე დიდი წილი უკავია სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულ ხარჯებს, რომელიც შეადგენს მთლიანი ხარჯების 41.8 პროცენტს, ხოლო წლიური ზრდის ტემპი ტოლია 0.6 პროცენტის. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯები, რომლის წლიური ზრდის ტემპი გაუტოლდა 39.7 პროცენტს და შეადგინა 443.8 მლნ ლარი, რაც შეადგენს მთლიანი ხარჯების 12 პროცენტს. რაც შეეხება ხარჯების დანარჩენ მუხლებს, შრომის ანაზღაურებას (მთლიანი ხარჯების 12.9 პროცენტი), საქონელსა და მომსახურებას (მთლიანი ხარჯების 15 პროცენტი), პროცენტს (მთლიანი ხარჯების 4.9 პროცენტი) და სხვა ხარჯებს (მთლიანი ხარჯების 13.3 პროცენტი), 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 4.4 პროცენტით, 13.7 პროცენტით, -6.3 პროცენტით და 8.7 პროცენტით მეტი იქნა მათზე მიმართული.




### საქართველოს სახელმწიფო ვალი


2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 30,413 მლნ ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 5,507.1 მლნ ლარს, მათ შორის:
  - ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სეპ-ისთვის“) – 160.8 მლნ ლარი;
  - სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 160.0 მლნ ლარი;
  - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 307.1 მლნ ლარი;
  - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 4,480.4 მლნ ლარი;
- სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 23,423.5 მლნ ლარს.


დიაგრამა 39: საქართველოს სახელმწიფო ვალი




სახელმწიფო საგარეო ვალი



მრავალმხრივი



ორმხრივი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



# მონეტარული სექტორი

## პერძო სექტორის ლარიზაცია


სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია, 2021 წლის 1 ოქტომბრის მდომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 48.3 პროცენტს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ლარიზაციის ძირითად დეტერმინანტს კვლავ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაცია წარმოადგენს. 2021 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 63.7 პროცენტი, ხოლო იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე - 32.3 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 2021 წლის განმავლობაში 88 პროცენტის ირგვლის დასტაბილურდა და 2021 წლის 1 ოქტომბრის მდომარეობით 88.7 პროცენტი შეადგენა, რაც შეეხება იპოთეკური სესხების ლარიზაციას წინა კვარტალთან შედარებით მისი მნიშვნელობა 1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 38.5 პროცენტს გაუტოლდა იმავე პერიოდში.

დეპოზიტების ლარიზაცია მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სესხების ლარიზაციას. მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია წინა კვარტალთან შედარებით 1 პროცენტული პუნქტით შემცირდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 2021 წლის 1 ოქტომბრის მდომარეობით 38.7 პროცენტი შეადგინა. დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია. იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაციაში, მეორე კვარტალთან შედარებით 2.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2021 წლის 1 ოქტომბერს 54.1 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 25.2 პროცენტს შეადგენს.


აღსანიშნავია, რომ დეპოზიტების ლარიზაციაში ძირითად კონტრიბუტორს კვლავ ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია წარმოადგენს, 2021 წლის 1 ოქტომბრის მდომარეობით მისი მნიშვნელობა 49.7 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია - 45.3 პროცენტს შეადგენს, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტების

დიაგრამა 40: სესხების ლარიზაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა 41: დეპოზიტების ლარიზაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




დიაგრამა 42: სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 43: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარიზაცია წინა კვარტალთან შედარებით 1.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 30.1 პროცენტს გაუტოლდა.

სესხების მიმოხილვა

საკრედიტო პორტფელის წლიურ ზრდაში დაფიქსირებული კლების ტენდენცია 2021 წლის მეორე კვარტალში ზრდამ შეცვალა, 1 ოქტომბრის მდგომარეობით 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 16.1 პროცენტით გაიზარდა, რაც 2.2 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა კვარტალში დაფიქსირებულ მნიშვნელობას (კურსის ეფექტის გამორიცხვით). აგრეთვე მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება იურიდიული პირების სესხების წლიურ ზრდაშიც, რამაც განაპირობა 2021 წლის ოქტომბრისათვის მისი მნიშვნელობის 17.1 პროცენტამდე ზრდა, რაც 4.4 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა კვარტლის მაჩვენებელს, ამავე პერიოდში ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 15.1 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია რომ ეროვნული ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდას ბოლო პერიოდში აღმავალი ტენდენცია გააჩნია და 2021 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 28 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდამ მხოლოდ 6.7 პროცენტი შეადგინა, რაც 2.9 პროცენტული პუნქტით აღემატება გასული კვარტლის მნიშვნელობას (კურსის ეფექტის გამორიცხვით).

2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 16.7 პროცენტი შეადგინა, რაც 2.3 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტლის მაჩვენებელს. ამასთან აღსანიშნავია, რომ იპოთეკური სესხებში, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული, 35.2 პროცენტია, ზრდა დაფიქსირდა, რაც 5.3 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტლის მნიშვნელობას, ხოლო იპოთეკური სესხები ზრდა, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, დაღმავალი ტენდენციით ხასიათდება და იმავე პერიოდში 7.6 პროცენტს შეადგენს.




დეპოზიტების მიმოხილვა

მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2021 წლის 1 ოქტომბერს, 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 12.2 პროცენტს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად, 4.5 პროცენტული პუნქტით, ჩამოუვარდება წინა კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენს მნიშვნელოვანი ზრდის დინამიკის შემდეგ უკანასკნელ კვარტალებში ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიურ ზრდაში დაფიქსირებული შემცირება, 2021 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, მისი მნიშვნელობა 12.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 1 ოქტომბრის მდგომარეობით 11.3 პროცენტი შეადგინა, ამავე პერიოდში უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 12.7 პროცენტი შეადგინა.

2021 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 16.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 7.4 პროცენტს გაუტოლდა, რაც მნიშვნელოვნად, 9.9 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტლის მნიშვნელობას.

რაც შეეხება დეპოზიტების ზრდას ტიპების მიხედვით, დეპოზიტებში დაფიქსირებული ზრდის ტემპის შენელება აისახა მოთხოვნამდე და ვადიან დეპოზიტებში. მნიშვნელოვნად შემცირდა ვადიანი დეპოზიტების წლიური ზრდა, მისი მნიშვნელოვანია 1 ოქტომბრის მდგომარეობით 3 პროცენტს შეადგენს, რაც წინა კვარტალთან შედარებით 13.7 პროცენტული პუნქტით მცირეა (კურსის ეფექტის გამორიცხვით). აგრეთვე 1.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა 2021 წლის მეორე კვარტალთან შედარებით მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდა და 17.2 პროცენტს გაუტოლდა 1 ოქტომბრისათვის, ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მიმდინარე ანგარიშების წლიურ ზრდაში, მისი მნიშვნელოვანია წინა კვარტალთან შედარებით, 8.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და იმავე პერიოდში 23.5 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა 44: დეპოზიტების წლიური ზრდა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




### მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

დიაგრამა 45: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 46: სუბ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის მესამე კვარტალში ჩაატარა ორი სხდომა. 4 აგვისტოს სხდომაზე, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 0.5 პროცენტული პუნქტით ზრდის თაობაზე. ხოლო 15 სექტემბერს ჩატარებულ სხდომაზე, ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. მესამე კვარტლის ბოლოსთვის განაკვეთი შეადგენდა 10 პროცენტს.

სუბ-ის თანახმად, ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა დამოკიდებულია მსოფლიო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის მკვეთრად გაზრდილ ფასებზე. ასევე მნიშვნელოვნად მოიმატა საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯებმა, რაც იმპორტირებული პროდუქციის ფასებზე ახდენს გავლენას. ეროვნული ბანკის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, წლის დარჩენილ პერიოდში ინფლაცია მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდება. მიმდინარე წლის დეკემბერში და მომავალი წლის იანვარ-თებერვალში ინფლაციის წლიური მაჩვენებელი კომუნალური გადასახადების სუბსიდირების საბაზო ეფექტის გამო დამატებით გაიზრდება. ხოლო 2022 წლის გაზაფხულიდან ინფლაცია შემცირდება, რასაც, დროებითი ფაქტორების მიღვევასთან ერთად, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა და ფისკალური კონსოლიდაცია შეუწყობს ხელს.

2021 წლის მესამე კვარტლის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა მოახდინა 90 მლნ აშშ დოლარის გაყიდვა. ხოლო 2021 წლის 9 თვის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა მოახდინა 332.9 მლნ აშშ დოლარის გაყიდვა.





### საპროცენტო განაკვეთები


2021 წლის 1 ოქტომბრისთვის, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.2 პროცენტს უტოლდება.

2021 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.2 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 1.9 პროცენტს. ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.9 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.7 პროცენტს შეადგენს.

2021 წლის 1 ოქტომბერს საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტი განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 17.1 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 20.7 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 5.8 პროცენტი). გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს, რომლის მნიშვნელობა 2021 წლის 1 ოქტომბერს 17.1 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 18.4 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე - 7.1 პროცენტს.


იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2021 წლის სექტემბრის ბოლოს 13.4 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.8 პროცენტს. ამავე პერიოდში ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 5.9 პროცენტი.

დიაგრამა 47: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 48: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



## საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული, როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

